

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ვაკანსიას შიდა აუდიტის სპეციალისტის პოზიციაზე

პოზიცია: შიდა აუდიტის სპეციალისტი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა: 3 თვე

**სამუშაოს აღწერა:**

- შესაძლო რისკების იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და ხელმძღვანელობისთვის გაცნობა;
- რისკებზე დაფუძნებული აუდიტის გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- აუდიტის ორგანიზება და შესრულება;
- აუდიტის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე რეკომენდაციების გაცემა;
- აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე პერიოდული მონიტორინგი;
- რეპორტების მომზადება შიდა/გარე მომხმარებლებისთვის.

**ძირითადი მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება ფინანსურ/ეკონომიკური მიმართულებით;
- აუდიტის სპეროში 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება;
- ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების ცოდნა;
- შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საოფისე პროგრამების, (MS Windows, MS Office, MS Word; Outlook) , განსაკუთრებით, MS Excel-ის მაღალ დონეზე ფლობა .

**პიროვნული თვისებები და უნარები:**

- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- სამუშაოს მოკლე ვადებში და სტრესულ სიტუაციებში შესრულების უნარი;

- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის და დროის მართვის უნარი;
- კომუნიკაბელურობა;
- კონფიდენციალურობის დაცვის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე: <http://1tv.ge/projects/hiring/>

აპლიკაციების მიღების საბოლოო ვადაა **2016 წლის 1 ოქტომბერი**.

სათაურის ველში - "Subject" მიუთითოთ პოზიციის სახელწოდება - "შიდა აუდიტის სპეციალისტი", წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს. მადლობას გიხდით ვაკანსიით დაინტერესებისთვის.